# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 72 ხუთშაბათი, 5 დეკემბერი 1902 წ. გაზეთის №2004.

# სიმართლე

უკანასკნელი რომანი

ზოლასი

თარგმანი ფრანგულიდან.

## წიგნი პირველი

(შემდეგი)

სამღვდელო პირებმა გადასწყვიტეს ოთახიდან გამოსვლა. მამა ფილიბინი, რომელმაც გამოსვლამდე სტოლზე დასდო გაზეთის ფურცელი და ხელთნაწერი, აღარ ლაპარაკობდა, მხოლოდ ყველას უყურებდა, ყურს უგდებდა; განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მარკოზის ყოველ სიტყვასა ᲓᲐ მოქმედებას. იმ დროს, როდესაც ძმა ფულგენსი ოხრავდა და ღელავდა, იეზუიტი ფილიბინი თვალებში შესჩერებოდა მარკოზს და თითქოს მიუხვდა ფიქრსაო, დაეკითხა:

— მაშ, თქვენის აზრით, ამის ჩამდენი ვინმე უბინაო ღამის ავაზაკია, რომელსაც გაღეჰულ ფანჯრიდან ბავშვი მარტო დაუნახავს?

მარკოზმა ჭკუა იხმარა და თავისი აზრი არ გამოსთქვა:

— მე არაფერს არ ვამბობ, სასამართლოსა და პოლიციის საქმეა დამნაშავის აღმოჩენა! ცხადია, მკვლელობა ათის საათის შემდეგ უნდა მომხდარიყო, მაშინვე, რადგან ლოგინი აშლილი არ არის და ბავშვიც პერანგის ამარაა. ეტყობა, დაწოლას აპირებდა. ვსთქვათ, ბავშვი, სულ ბევრი, ნახევარ საათს მოუნდა ხატების დალაგებას. ამის შემდეგ უცნობის დანახვაზე ბავშვს ყვირილი უნდა შეექნა, ამ ყვირილს-კი ვინმე გაიგონებდა.... თქვენ არა გაგიგონიათ რა?—ჰკითხა მან რუზერის ქალს.

— არაფერი, —უპასუხა მასწავლებელმა ქალმა.—მე თვითონ თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, რომ დავწექი. სიჩუმე იყო. ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ჭექა-ქუხილმა გამომაღვიძა.

— სანთელი სულ ცოტათი დამწვარა! — შენიშნა კიდევ მინოტმა.—ეტყობა, მკვლელს გამოსვლისათანავე გაუქრია და ფანჯრიდან რომ გადმოსულა, ღია დაუტოვებია, როგორც ამ დილაზე დამხვდა.

ეს მოსაზრება თითქოს ამტკიცებდა, რომ მკვლელი ღამის უბრალო ავაზაკი უნდა ყოფილიყო, რომელიც დასცემია, გაუპატიურებია და მერე დაუხჩვია მსხვერპლი. ყველანი შეჰზარა ამ სურათმა. ხმა მაღლა აღარავინ ამბობდა თავის აზრს; ყველა თავისთვის ჰფიქრობდა. ბოლოს, რაკი მერი და ჟანდარმები იგვიანებდნენ, მამა ფილიბინმა იკითხა:

— ეტყობა, სიმონი მელბუაში არ არის?

მინოტი, რომელიც ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, გაშტერებული იყურებოდა. მარკოზმაც გაიკვირვა, რომ სიმონი იქ არ იყო.

— სიმონი უთუოდ შინ იქნება... ეტყობა, არავის შეუტყობინებია?

— ღმერთო ჩემო!—წამოიძახა მინოტმა:— სრულიად ავირიე! სიმონი ხომ გუშინ ერთ ნადიმზე იყო მიწვეული ბომონტში, მაგრამ, უეჭველია, ღამე დაბრუნდებოდა. იმისი მეუღლე ცოტა უქეიფოდ იყო და ჯერ ისევ უნდა ეძინოთ.



ამური და ლომი.—მარმარილოს ქანდაკება ვეისენფელდისა.

რვის ნახევარი იქნებოდა, მაგრამ ცა ისე იყო მოღრუბლული და შავად ჩამოწოლილი, რომ კაცს ეგონებოდა, ახლად

თენდებაო. მასწავლებლის თანაშემწემ გადასწყვიტა სიმონთან ასვლა და შეტყობინება. „კარგი გაღვიძება მოელის! კარგ სამახარობლო ამბავს მივუტან ჩემ დირექტორსაო“, ჰფიქრობდა მინოტი.

სიმონი ერთ ღარიბ მესაათე ებრაელის შვილი იყო. ერთი ძმა ჰყავდა, დავითი, სამის წლით თავისზე უფროსი. 15 წლისა იყო, მაშასადამე, იმისი ძმა 18 წლისა იქნებოდა, როდესაც დავებითა და საჩივრებით გაღარიბებულ მამას წვეთი დაეცა და სიცოცხლეს გამოასალმა.

სამის წლის შემდეგ დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილი დედაც მოუკვდათ. ამ დროს სიმონი ახლად შესული იყო ნორმალურ სკოლაში, იმისი ძმა დავითი კი ჯარში შევიდა.

სკოლა სიმონმა კარგად გაათავა და შემდეგ მასწავლებლის თანაშემწედ დაჰყო ერთ დიდ მახლობელ სოფელში, დერბერკურში, ათ წელიწადს. აქ, ოცდა ექვსის წლისა იყო, როცა შეირთო ცოლად რახილ ლემანი, ქალი „ტრუ“-ს ქუჩაზე მცხოვრებ თერძისა, რომელსაც მელბუაში საკმაო მუშტარი ჰყავდა.

რახილი ძალიან ლამაზი ქალი იყო, შავგვრემანი, მშვენიერის თმითა და დიდრონის ალერსიანის თვალებით; ქმარს ძალზე უყვარდა, თითქმის აღმერთებდა. ორი შვილი მიეცათ, ერთი ვაჟი—იოსები, რომელიც ეხლა ოთხის წლისა იყო და ქალი—სარა, ორის წლისა. პედაგოგის დიპლომით აღჭურვილ სიმონს ძალიან უხაროდა, როდესაც ოცდა თორმეტის წლისა იგი გაამწესეს მელბუაში, რაც მართლა იშვიათი შემთხვევა იყო მასწავლებლის ცხოვრებაში.

მარკოზი, რომელსაც მემკვიდრეობით თუ ჩაგონებით ურიები არ უყვარდა და რომელსაც თავის დღეში არ გამოურკვევია ამ გრძნობის მიზეზები, სიმონს ნორმალურ სკოლიდანვე მეგობრულად ექცეოდა და შენობით ელაპარაკებოდა. მარკოზი ძალიან ჭკვიან კაცად სთვლიდა სიმონს, აფასებდა აგრეთვე როგორც მასწავლებელსაც. მაგრამ ამავე დროს ამბობდა, რომ სიმონი ფრთხალია, წვრილმან წეს-რიგის მო



ბეთანიის ეკლესიის ნანგრევები.

ნა-მორჩილი, დისციპლინის მიმდევარი და იმის შიში მყოფი, რომ ვაი თუ ცუდის თვალით შემომხედონო, ან ჩემს უფროსებს ვერ მოვაწონო თავიო. ამას მარკოზი იმ დაჩაგრულ მდგომარეობის შედეგად სთვლიდა, რომელშიაც ურიები საუკუნოებით იმყოფებიან. მაინცა და მაინც სიმონს საბუთი ჰქონდა დიდის სიფრთხილით მოქცეულიყო, რადგან იმის გამწესება მელბუაში, სადაც წმ. ძმების სკოლა იყო და კაპუცინები სცხოვრობდნენ, ერთი აურზაური და ალიაქოთი მოჰყვა. ხოლო თუ ურიობას არად უთვლიდნენ, ეს იმიტომ, რომ მეტად წესიერად იქცეოდა და უფრო კიდევ იმიტომ, რომ მხურვალე პატრიოტი იყო, გატაცებული საფრანგეთის სიდიადით, იმის ბრწყინვალე და შარავანდედით მოსილ მომავალით.

როგორც იქმნა გამოჩნდა სიმონი, რომელიც მინოტს მოჰყავდა. სიმონი პატარა, გამხდარი და ნერვიანი კაცი იყო. თაფლა თმა ძირში ჰქონდა გაკრეჭილი; თვალები მშვიდი და ცისფერი ჰქონდა, ტუჩები თხელი, ხოლო ცხვირი—წვრილი, ურიული. საზოგადოდ ეს კაცი ავადმყოფის და დამფრთხალის ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე, მეტადრე ამ წამს ისეთი არეული იყო საშინელის ამბის გაგონებით, რომ კაცს ეგონებოდა, სიმთვრალით ენა ებმის, ხელები უკანკალებს და ბარბაცებსო. ღმერთო მაღალო, განა ეს შესაძლებელია, ამ ნაირი საზიზღარი მხეცობა!

ფანჯარასთან მივიდა და გაშეშებული დააჩერდა ბავშვის გვამს. მთელის სხეულით აკანკალდა, ხმის ამოღებას ველარ ახერხებდა. ყველანი, ვინც იქ იყვნენ,—სამღვდელონი, ქალალდის მაღაზიის პატრონნი, მასწავლებელი, ჩუმად შესცქეროდნენ და უკვირდათ, რომ თვალებზე ცრემლი არ მოსდიოდა. მარტო მარკოზმა შეიბრალა, მივიდა და გადაეხვია:

— გამხნევდი, ჩემო მეგობარო, ეხლა გჭირია ღონის მოკრება!

სიმონს თითქო არ ესმოდა მარკოზის ლაპარაკი, მიუბრუნდა მინოტს და შეეხვეწა:

— გევედრებით, მინოტ, ჩემს ცოლთან დაბრუნდით... არ მინდა, იმანაც ნახოს ეს საშინელება. ისე ძალიან უყვარდა ძმის წული... მერე ეხლა ავად არის, ვერ აიტანს...

მერე, ყმაწვილი კაცი რომ გაბრუნდა, ტანჯულის ხმით განაგრძო:

— ოჰ, რა დღე გაგვითენდა! დღეს გვიან ავდექით. ჩემს საწყალს რახილს ეძინა; არ მინდოდა იმისი გაღვიძება, ამიტომ არ ვინძრეოდი, გვერდზე თვალებ გახელილი ვიწექი და ზაფხულის მხიარულ დროს გატარებაზე ვოცნებობდი. წუხელის რომ დავბრუნდი, ჩემს ცოლს გამოეღვიძა და ღამის სამს საათამდის ჭექა-ქუხილმა აღარ დააძინა.

— რომელ საათზე დაბრუნდი?—ჰკითხა მარკოზმა.

— შუა ღამეს სწორედ ოცი წუთი აკლდა. ჩემმა ცოლმა მკითხა და მეც დავხედე საათს.

— ამ დროს ხომ არც ერთი მატარებელი არ მოდის ბომონიდან!—გაიკვირვა რუზერის ქალმა.

— მატარებლით არ დავრუნებულვარ,—უთხრა სიმონმა.—ნადიმი დიდხანს გაგრძელდა. იმ მატარებელს, რომელიც ღამის თერთმეტის ნახევარზე მოდის, ველარ მოვუსწარი; გადავწყვიტე, შუაღამის მატარებლისათვის არ მეცადნა და ფეხით გამევლო ექვსი ვერსი: ვეჩქარებოდი ცოლთან დაბრუნებას...

მამა ფილიბინი, დამშვიდებულის სახით, ჩუმად იყო. მხოლოდ მამა ფულგენსი ვერ ითმენდა და კითხვებს აძლევდა:

— შუა ღამეს ოცი წუთი აკლდა; მკვლელობა უკვე ჩადენილი უნდა ყოფილიყო. არაფერი გაგიგონიათ?

— სრულებით არაფერი. მოედანზე ჭაჭანება არ იყო. შორიდან ქუხილი ჯერ კიდევ მოისმოდა. ისე შემოვედი, რომ ერთი სულიერიც არ შემხვედრია. სახლში დიდი სიჩუმე იყო...

— მაშ თქვენ აზრადაც არ მოგსვლიათ დაგეხედნათ ამ საწყალ ზეფირინისთვის, რომ გაგეგოთ, დაბრუნდა ეკლესიიდან თუ არა, ან ეძინა თუ არა? მაშ, ეტყობა ჩვეულებად არა გქონიათ ყოველ საღამოს ბავშვისთვის დაგეხედნათ.

— არა. ეს ძვირფასი ბავშვი თითქმის პატარა კაცი იყო, წინ დახედული და ჩვენც, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მეტ თავისუფლებას ვაძლევდით. ამას გარდა ღამე ისეთი მშვიდი და წყნარი იყო, რომ აზრადაც არ მომსვლია შემეწუხებინა და გამომეღვიძებინა ბავშვი. პირდაპირ სახლში ავედი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვცდილობდი ხმაურობით არავინ შემეწუხებინა, ვაკოცე ჩემს მძინარე შვილებს და დავწექი, ბედნიერი რომ ჩემი ცოლი უკედ დამხვდა.

მამა ფილიბინი იმ ნაირად უქნევდა თავს, თითქო ეუბნებოდა: აშკარაა, ყველაფერი მაგრე უნდა მომხდარიყო.

იქ მყოფნიც თითქოს დარწმუნდნენ, რომ მკვლელობას ისევ ვინმე ავაზაკი თუ ჩაიდენდა, რომელიც თერთმეტის ნახევარზე ფანჯრიდან გადაძვრებოდა და იქიდანვე გაიქცეოდა. სიმონის აღწერა რუზერის ქალის ნაამბობს ეთანხმებოდა. მილჰომის ქალებიც, ქაღალდის მაღაზიის პატრონნი, ამბობდნენ, რომ იმ ღამეს დავინახეთ ვიღაც საეჭვო კაცი, რომელიც მოედანზე დახეტიალებდაო.

— რამდენი ავაზაკი დაეხეტება ქუჩებში! — დაასკვნა მამა იეზუიტმა. — იმედია, პოლიცია ავაზაკის კვალს მიაგნებს, თუმცა ეს საქმე არც ეგრე ადვილია!..

მარტო მარკოზი ჰგრძნობდა, რომ ყველა ეს ისე არ უნდა ყოფილიყო, როგორც ჰფიქრობდნენ. თუმცა პირველად სთქვა, რომ მკვლელობა ვინმე უბინაო ავაზაკის საქმე იქნებაო, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, რომ საქმე ასე არ უნდა მომხდარიყო. ჭკუაზე უფრო ახლოა სხვა აზრი: ავაზაკი უთუოდ ბავშვს იცნობდა, ჯერ ლაპარაკს დაუწყებდა, უალერსებდა, რომ ნდობა მოეპოებინა, შემდეგ, როდესაც საზიზღარ განზრახვის აღსრულებას დააპირებდა, მხეცურად თავს დაეცემოდა, პირზე ხელს დააფარებდა, რომ არ ეყვირნა, გააუპატიურებდა, მერე შიშით მოჰკლავდა. მაგრამ ეს აზრი ჯერ გამოურკვეველად ჰქონდა თავში, მხოლოდ გაუელვა. შემდეგ ყოველივე ისევ დაბნელდა. სიმონის დასამშვიდებლად მარტო ამის თქმა-ღა მოახერხა:

— ყველა ერთსა და იმავეს ჰმოწმობს და სიმართლე მალე გამოირკვევა.

დაბრუნდა მინოტი, რომელიც სიმონმა თავის ცოლთან გაჰგზავნა, რომ დაეჯერებინა ოთახიდან არ გამოსულიყო. მოვიდნენ მერი დარასი და სამი ჟანდარმი. დარასი, ქვის შენობების იჯარადარი, გამდიდრების გზაზე იდგა. ორმოცდა ორის წლისა იქნებოდა. სქელი კაცი იყო, სახე მრგვალი ჰქონდა, პირმოპარსული, წითლად გაღაჟღაჟებული, რომელსაც ქერა მოკლე თმა ამშვენებდა. მოსვლისათანავე მოახურვინა ფანჯრის დარაბები და ორი ჟანდარმი ფანჯარასთან დააყენა; მესამე კი დერეფანში მიუყენა ოთახის კარებს, რომელიც უბრალო რაზათი იკეტებოდა. ამ კარებს ზეფირინი არასოდეს არ ჰკეტდა კლიტით. შემდეგ დარასმა სასტიკი განკარგულება გასცა, ხელი არაფრისთვის ეხლოთ და არც ახლო მისულიყო ვინმე. იმ წამსვე მერმა დეპეშა გაუგზავნა მიმონტის სასამართლოს და ეხლა ელოდნენ მოსამართლეების ჩამოსვლას, ისინი უთუოდ პირველის მატარებლით მოვიდოდნენ.

მამა ფილიბინსა და ძმა ფულგენს, რომელთაც მოიმიზეზეს, — ნაშუადღევს სკოლაში საჩუქრები უნდა დავარიგოთო, დარასმა სთხოვა დაჩქარებულიყვნენ, რადგან რესპუბლიკის პროკურორი მოსვლისათანავე უთუოდ იმათაც ჩამოართმევდა ჩვენებას გაზეთ „პატარა ბომონტის-ა“ და იმ ხელთ-ნაწერის შესახებ, რომელიც ბავშვის გვამის გვერდით იპოვნეს.

ბრბო ისე იზრდებოდა, რომ ორი ჟანდარმი ძლივს-ღა იმაგრებდა. ხალხი წყევასა და მუქარას უთვლიდა მკვლელს. სიმონი, დარასი, მარკოზი, რუზერის ქალი და მინოტი ამ დროს მოხელეებს უცდიდნენ სკოლის დიდ დარბაზში.

რვა საათი იყო, როდესაც უეცრად წვიმა წამოვიდა, მალე ცას ღრუბელი გადაეყარა და მშვენიერი დღე დადგა. მხოლოდ ცხრა საათზე მოვიდნენ მოხელენი. რესპუბლიკის პროკურორი რაულ დე-ლა-ბისსონიერი თვითონ გასჯილიყო, თან წამოეყვანა გამომძიებელი დეკსი. ორივენი დიდად აღშფოთებულნი იყვნენ ამ მკვლელობით და ჰფიქრობდნენ, რომ იგი დიდ საქმედ გადაიქცეოდა. პროკურორი პატარა, ცქვიტი და შავგვრემანი კაცი იყო, პატარა ტიკინის მსგავსის სახისა. პროკურორი იყო მეტად თავმომწონე კაცი; არა სჯერდებოდა, რომ 45 წლისას ეს თანამდებობა ეჭირა და ელოდდა რამე დიდ შემთხვევას, რომ ესახელნა და პარიზში ამოეყო თავი, სადაც იმედი ჰქონდა მოხერხებულობით და თავ-მდაბლობით მალე მიაღწევდა დიდ ხარისხამდე. დეკსი, პირ-იქით, მაღალი და გამხდარი იყო, სახე ცულის პირსავით ჰქონდა მოყვანილი;



უფლის-ციხე გორის ახლო.

ძალიან ფრთხილი, მშიშარა და მოვალეობის აღსრულებაში მუყაითი იყო. იმისი მახინჯი, პრანჭია და მეტის-მეტად ფულის მფლანგავი ცოლი, თავის სიღარიბეზე გულ მოსული, მუდამ აშინებდა, სიცოცხლეს უმწარებდა ქმარს, უსაყვედურებდა, თავმოყვარეობა არა გაქვს, რომ სამსახურში წინ წახვიდეო. ორივენი სკოლაში ჩამოხტნენ და ვიდრე მოწმეებს გამოკითხვას დაუწყებდნენ, მოისურვეს ოთახი ენახათ და ადგილობრივი გარემოებანი აღენიშნათ.

სიმონი და დარასი წაუძღვნენ ოთახში. რაც შეეხება მარკოზს, რუზერის ქალს და მინოტს, ისინი დიდ დარბაზში უცდიდნენ; საცა ცოტა ხნის შემდეგ მამა ფილიბინი და ძმა ფულგენსიც მიემატნენ; როცა მოხელენი დაბრუნდნენ, იმათ უკვე აღნიშნული ჰქონდათ ყოველივე გარემოება მკვლელობისა. თან მოჰქონდათ გაზეთ „პატარა ბომონტის“ ფურცელი და ხელთნაწერის ნიმუში, რომლებსაც დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ. ამნაირად, შემოვიდნენ თუ არა, მაშინვე შემოუსხდნენ სტოლს, გასინჯეს ქაღალდები, ბევრი ილაპარაკეს, თანაც ქაღალდებს აჩვენებდნენ სიმონს, მარკოზს, მასწავლებელ ქალს და სამღვდელოებს. ჯერ ოფიციალურ გამოკითხვას არ შესდგომოდნენ, რადგანაც მოხელე, რომელსაც ჩვენებანი უნდა ჩაეწერა, არ მოსულიყო.

— ამნაირი ქაღალდები ყველა სკოლაში მოიპოვება, როგორც საერობო, ისე საეკლესიო სკოლაში, — სთქვა მარკოზმა.

— ნამდვილსა ბრძანებს, — დაემოწმა ძმა ფულგენსი. — ამნაირ ქაღალდის ნიმუშს ჩვენ სკოლაშიაც ჰნახავთ და უთუოდ აქაც იქმნება.

ლა-ბისსონიერს კარგად ჰსურდა გამოერკვია საქმე, ამიტომ ჰკითხა სიმონს:

— არ გახსოვთ, ამნაირი ნიმუში ხომ არასოდეს მიგიციათ თქვენ მოსწავლეთათვის? „გიყვარდეთ ერთმანეთი“-ო, ეს მაინც უნდა დაგხსომებოდათ?

— არა,—მტკიცედ მიუგო სიმონმა.—ამნაირ ნიმუშის ქაღალდი ჩემს კლასში არასოდეს არ მიხმარია, თორემ, თქვენის სიტყვისა არ იყოს, დამახსომდებოდა.

რესპუბლიკის პროკურორმა იმავე კითხვით ძმა ფულგენს მიჰმართა. ძმამ ჯერ როგორღაც ყოყმანი დაიწყო:

— ჩემს გარდა სამი სხვა ძმაც არის სკოლაში, ისიდორე, ლაზარიუსი და გორგიასი, და დაბეჯითებით თქმა არაფრისა არ შემიძლიან...

დიდი სიჩუმე ჩამოვარდა. ძმა ფულგენსმა უეცრად წამოიძახა:

— არა, არა, თავის დღეში ამნაირი ნიმუშის ქაღალდი ჩვენ სკოლაში არ გვიხმარია, თორემ ერთხელაც იქნება დავინახავდი...

მოხელენი განგებ აღარ ჩააცივდნენ, რომ არ შეემჩნევინებინათ, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ამ გარემოებას. მხოლოდ გაიკვირვეს, რომ ამ ქაღალდის მოგლეჯილი ყური ვერ იპოვნეს.

— განა ამნაირ ქაღალდის ნიმუშებს კუთხეებზე სკოლის ბეჭედს არ ასვამენ ხოლმე?—იკითხა დეკსმა.

— დიაღ, ხშირად.—მიუგო ძმა ფულგენსმა.

მარკოზმა წამოიძახა:

— ჩემის მხრით მე ამნაირ ნიმუშებისთვის თავის დღეში არ დამისვია ბეჭედი. ჩვენ ჩვეულებად არა გვაქვს ესა.

— უკაცრავად,—განაცხადა სიმონმა,—აქა მაქვს ნიმუშები, რომელსაც ბეჭედი ასვია. მხოლოდ მე დაბლა ვასვამ ბეჭედს, აი ამ ალაგას.

შეამჩნია რა მოხელეთა გაოცება, მამა ფილიბინმა, რომელიც აქამდის ჩუმად იყო და ყურადღებით უსმენდა, ოდნავ ჩაიცინა:

— აი აქედანა სჩანს,—სთქვა იმან,—რა ძნელია სიმართლის აღდგენა... აი, მაგალითად, ბატონო, რესპუბლიკის პროკურორო, ეგ ლაქა, ეხლა რომ სინჯავდით, ზოგმა გვარისა და სახელის მთავრულ ასოებად მიიღო, ჰგონიათ, ვიღაცას ხელი მოუწერიაო; მე კი ასე ვფიქრობ, რომ მელანია დაღვენთილი, რომელიც მოსწავლეს ხელით გაუთხუპნია.

— ჩვეულებად ხომ არა აქვთ მასწავლებლებს ამნაირ ფურცლებზე თავიანთ სახელის ასოების მოწერა? — იკითხა კვლავ დეკსმა.

— დიაღ,—აღიარა მამა ფულგენსმა, — ჩვენსას ჩვეულებადა აქვთ.

— არასოდეს!—შესძახეს ერთხმად სიმონმა ꝺ მარკოზმა.— ჩვენ სასოფლო სკოლებში ამას არ ჩავდივართ.

— თქვენა სცდებით,—უპასუხა რუზერის ქალმა;—მართალია, მე ბეჭედს არ ვასვამ, მაგრამ ჩემის სახელ-გვარის ასოები ხშირად დამისვამს.

ლა-ბისსონიერმა ხელის გაქნევით შესწყვიტა ლაპარაკი; იმან გამოცდილებით იცოდა, რა არეულობა მოჰყვებოდა ასე წვრილმან ლაპარკს, თუ ყველა თავის ჩვეულებებს შეეხებოდა. გამოძიებას უნდა შეესწავლა ეს დიდ-მნიშვნელოვანი საბუთის ქაღალდი, ყურ მოგლეჯილი; თუ შესაძლო იქნებოდა, უნდა გაეგო საიდუმლოება ბეჭედისა და მთავრულ ასოებისაც. ამიტომ პროკურორმა მოისმინა მოწმეებისაგან ყოველივე ამბავი მკვლელობის შესახებ. მინოტმა უამბო, როგორ მიაქცია ყურადღება ღიაბულ ფანჯრებს და როგორ მორთო ყვირილი, როდესაც დაინახა პატარა ბავშვის გვამი, ასე მხეცურად დატანჯული. რუზერის ქალმა აუხსნა, როგორ მოირბინა ყვირილზე; შემდეგ დაწვრილებით უამბო იმ ღამინდელი ცერემონია, როგორ მიაცილა პატარა ზეფირინი ფანჯრამდის, საიდანაც ბავშვი ოთახში გადახტა. მამა ფილიბინმა და ძმა ფულგენსმა თავიანთ მხრივ უამბეს რაც ნახეს, აღწერეს, რა მდგომარეობაში დაჰხვდათ ოთახი, რა ალაგას ეგდო დასორსოლებული ქაღალდი, რომელიც აიღეს და თავს ნება მისცეს გაეხსნათ. მარკოზმაც აღნიშნა ზოგიერთი გარემოება, გადასცა თავისი შთაბეჭდილებანი, ნანახიდან გამოტანილი.

ამის შემდეგ ლა-ბისსონიერმა სიმონს მიჰმართა:

— თქვენა სთქვით, რომ შუა ღამეს ოცი წამი აკლდა, როდესაც დაბრუნდით და მთელ სახლში სიჩუმე იყო. თქვენ ცოლსაც ეძინა?

ამ დროს დეკსმა შეაწყვეტინა:

— ბ-ნო პროკურორო, იქნებ უკეთესი იყოს, თვით ქ-ნი სიმონი რომ მოვიწვიოთ? ეგებ ერთ წამს ჩამობძანდეს!

ლა-ბისსონიერმა მოუწონა ეს აზრი. სიმონი ავიდა ცოლის ჩამოსაყვანად და მალე იმასთან ერთად დაბრუნდნენ.

.—ნი

(შემდეგი იქნება)



— თქვენ, მგონია, მოსამსახურე გჭირდებათ?

— ჰო, საჭიროა, მაგრამ ვისთანაც უკანასკნელად იდექი იმისი რეკომენდაცია გაქვს?

— არა, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ მე დახელოვნებული ვარ მოვალეების გაპანდურებაში.

— ოო, მაშ დიდის სიამოვნებით მიგიღებ.



— შენ ცოლს ირთავ? რაში მოგეფიქრებია?

— განა შენ კი არ გათხოვდები?

— არა, ჩემის აზრით ისა სჯობია რამდენიმე კაცს მივანიჭო ბედნიერება, ვიდრე გავაუბედურო ერთი.



— გადადიხარ სახლიდან?

— არა, ჯერ სახლის პატრონს არ დავუთხოვნივარ.



ქალი. ეს კვამლის რგოლები ჯვარის წერის ბეჭდებსა ჰგვანან, რომლებიც ხშირად ისევე ჰქრებიან, როგორც ესენი.

კაცი. დიახ, მხოლოდ, სამწუხაროდ, იმ განსხვავებით, რომ არ შეიძლება მათი დაგირავება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.